ჭეშმარიტად, სამოთხეში არის კარიბჭე, რომელსაც არ-რაიან ჰქვია. აღდგომის დღეს მასში შევლენ მარხულები, და არავინ შევა მასში მათ გარდა

გადმოსცემს საჰლი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, სამოთხეში არის კარიბჭე, რომელსაც არ-რაიან ჰქვია. აღდგომის დღეს მასში შევლენ მარხულები, და არავინ შევა მასში მათ გარდა. გამოეცხადებათ: 'სად არიან მარხულები?' და ისინი წამოდგებიან. და არავინ შევა მასში მათ გარდა. როცა ისინი შევლენ, ის დაიკეტება და უკვე აღარავინ შევა მასში».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სამოთხეს აქვს ერთ-ერთი კარიბჭე სახელად არ-რაიან, მასში განკითხვის დღეს მხოლოდ მარხულები შევლენ, იმ კარებიდან მათ გარდა სხვა ვერავინ შევა, მოუხმობენ: სად არიან მარხულები? ისინიც წამოდგებიან და შევლენ იმ კარიდან, და იქიდან მათ გარდა სხვა ვერავინ შევა, მათგან ბოლო პიროვნება რომ შევა, ის კარი დაიხურება და მასში მათ შემდგომ ვეღარავინ შევა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3738

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee